Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

« ბლეზ პასკალის » საერთაშორისო კათედრების მიერ გამოცხადებული კანდიდატების შერჩევა 2011 წლისათვის – კანდიდატურების წარდგენის ბოლო ვადაა : 2011 წლის 10 იანვარი

« ბლეზ პასკალის » საერთაშორისო კვლევების კათედრების მიერ გამოცხადებული კანდიდატთა შერჩევა 2011 წლისათვის, გამიზნულია საფრანგეთში, ყველა დისციპლანაში მომუშავე, უცხოელი მკვლევარების მისაღებად.

« ბლეზ პასკალის » საერთაშორისო კვლევების კათედრები შეიქმნა სახელმწიფოსა და ილ-დე-ფრანსის რეგიონის მიერ, რათა მეცნიერების ყველა დარგში მიეღოთ, უცხოელი, მაღალი დონის, საერთაშორისო აღიარების მქონე მკვლევარები. ეს დარგებია : ზუსტი მეცნიერებები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, გამოყენებითი მეცნიერებები და ახალი ტექნოლოგიები.

ყოველი კათედრა იღებს უცხოელ მეცნიერებს, სრული განაკვეთით, 12 თვის განმავლობაში, რომელიც, ზოგ შემთხვევაში 2 წელიწადზე ნაწილდება. ისინი, კონკრეტულ სამეცნიერო პროექტზე სამუშაოდ განაწილებულები არიან უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებილებებში პარიზისა და ილ-დე-ფრანსის მასშტაბით. კვლევისათვის აქვთ შესაბამისი გარემო, აღჭურვილობა და შესაბამისი სახსრები. კონკრეტულ პროექტზე განსაზღვრილმა ფინანსურმა დახმარებამ, შესაძლოა 200 000 ევროს მიაღწიოს, (ანაზღაურების, სოციალური დახმარებების, გადასახადების, მისიასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით).

ბენეფიციარებს ევალებათ ათამდე ლექციის ჩაატარება, პერიოდის დასასრულს საქმიანობის ანგარიშის ჩაბარება და ერთი საჯარო სემინარის მოწყობა.

2011 წლისათვის მრავალდისციპლინარული ჟიური შეარჩევს 4 კანდიდატს, ილ-დე-ფრანსის რეგიონისათვის მათი პროექტის სამეცნიერო ინტერესის, ინტერდისციპლინარული ხასიათისა და წამოდგენილი დოსიეს ხარისხის მიხედვით.

კანდიდატის დოსიე უნდა შედგეს მიმღები ლაბორატორიის ხელმძღვანელთან ერთობლივად. დოსიე უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს (3 ეგზემპლიარად) :

- კანდიდატის ანკეტა
- ფინანსური დოკუმენტი, საჭირო ხარჯების აღრიცხვით
- კვლევისა და საქმიანობის პროექტი
- პედაგოგიური პროგრამა
- CV და ბოლო პუბლიკაციების სია
- მიმღები ლაბორატორიის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოსაზრება
- მიმღები დაწესებულების დირექტორის თანწხმობის წერილი

კანდიდატის მიერ შესავსები ანკეტა და ხარჯთაღრიცხვის შესავსები დოკუმენტი შეგიძლიათ მოიძიოთ საიტზე : www.chaires-blaise-pascal.org

კანდიდატების დოსიეები უნდა გაიგზავნოს პარიზში, **არაუგვიანეს 2011 წლის 10 იანვრისა.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ვებგვერდს : www.chaires-blaise-pascal.org